ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25) 11 ივლისი 2013 წელი

ბრძანება №194

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთი“-ს რეგისტრაციის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე და 31-ე მუხლების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 20-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და 35-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2013 წლის 10 ივლისის №9 საოქმო გადაწყვეტილებითა და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, მიმდინარე წლის 11 ივლისიდან რეგისტრირებულად ჩაითვალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ოზურგეთი“, (ფრაქციის თავმჯდომარე შალვა თავდიშვილი).

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძე**

Created by free version of DocuFreezer